№ 116.895

Date 04.07.2023

RMG COPPER

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

უფროსს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
04 07 2023 წ.
№ 6220

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, სს „RMG Copper" -ის 2022 წლის 8 აგვისტოს N 94.932 განცხადების საფუძველზე დაწყებულია გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურა ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper"-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებაზე (ახალი კუდსაცავისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და საწარმოს წარმადობის გაზრდა). დაგეგმილი საქმიანობა, სხვა ცვლილებებთან ერთად, გულისმოხბს თანამედროვე მიდგომების შესაბამისად ღერძული ტიპის კუდსაცავის მშენებლობას და თხევადი კუდების მაგივრად შესქელებული კუდების განთავსებას.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ჩატარებულ იქნა რამდენიმე საჯარო განხილვა და დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა როგორც მოსახლეობის აგრეთვე დაინტერესებული პირების (სამოქალაქო საზოგადოების) მოსაზრებები და შენიშვნები პროექტთან დაკავშირებით. შენიშვნებისა და გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით რომ კომპანიას არ გაუჩერებია კვლევითი საქმიანობა გადამუშავების ტექნოლოგიის მოდიფიცირების მიმართულებით, მათ შორის, მშრალი კუდების მიღების მიმართულებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რომ კონტრაქტორ ორგანიზაციასთან ერთად შევჯერდეთ შესაძლებელია თუ არა საწარმოში დანერგილ იქნეს მშრალი კუდების მიღებისათვის შემოთავაზებული ინოვაციური მიდგომები. მიუხედავად იმისა, რომ მშრალი კუდების შტაბელური დასაწყობება შესქელებულ კუდებთან შედარებით, კიდევ უფრო უსაფრთხო და გარემოზე ნაკლები ზემოქმედების მქონეა, მშრალი კუდების მიღებასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული ტექნოლოგიური სირთულეებიც. მთავარ ნაკლოვანებას წარმოადგენს სს „RMG Copper"-ის გადასამუშავებელი მადნების არაერთგვაროვანი მინერალოგია, რაც საფრთხეს უქმნის ფილტრაციის პროცესს. თუმცა, როგორც აღინიშნა ამ ეტაპზე ამ პრობლემების გადაწყვეტისათვის აქტიურად ვთანამშრომლობთ დარგში წამყვან საერთაშორისო კონტრაქტორ ორგანიზაციებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღარ იქნეს განხილული „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper"-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ახალი კუდსაცავისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და საწარმოს წარმადობის გაზრდა) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში" და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სს „RMG Copper" -ის 2022 წლის 8 აგვისტოს N 94.932 განცხადებაზე დაწყებული

სს RMG Copper, თბილისი 0193 მ.ალექსიძის #1, მე-3 შესახვევი ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
JSC RMG Copper, #1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61;
ელ-ფოსტა: info@richmetalsgroup.com; ვებ-გვერდი: www.richmetalsgroup.com
Email: info@richmetalsgroup.com; Web-page: www.richmetalsgroup.com

ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს. ამასთან კომპანია, განახლებულ და კორექტირებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 18 აპრილის „ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სს „RMG Copper"-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ახალი კუდსაცავის, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და საწარმოს წარმადობის გაზრდა) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" N 2-301 ბრძანების შესაბამისად. კორექტირებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში აღარ იქნება განხილული ახალი კუდსაცავის მოწყობის საკითხი, განახლებულ ანგარიშში ამ ეტაპზე არ იქნება ასახული არც მშრალი კუდსაცავის ოპერირების საკითხები, თუმცა განხილული იქნება სკოპინგის ანგარიშით გათვალისწინებული სხვა დაგეგმილი საქმიანობები / ცვლილებები და სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული პირობები.

პატივისცემით,

ჯონდო შუბითიძე

აღმასრულებელი დირექტორი

სს „RMG Copper"

JSC RMG Copper, GEORGIA
RMG COPPER
225358341